განკარგულება:**g-63. 632423415**
თარიღი:**21/08/2024**

ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირის №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) თაობაზე

ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირის №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232) პრივატიზების შესახებ, გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტის განმეორებითი აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება შეცვლილი პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე. თუ მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე-13 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირის №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232) განმეორებითი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირის №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232) პრივატიზება განხორციელდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირის №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 60000 (სამოცი ათასი) ლარი.

1.3. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარი.

1.4. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, დავით აღმაშენებლის გამზირის №1-ის მიმდებარედ 3000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.68.232) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

1.5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი